




№ 20 (1366) ოქტომბერი 1971

სიანჭო

ბამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.

ნ.ს. შორაჩიძის

მზალეა სახემოდგომო სალუტისათვის კახური მკვერამე-
ხეზილან



— ამ კომპინატორს, გგონია, საცინოდ აქვს საქმე!
— ახლაც ცინებში არ ზის?



დაუსჯედი კოდექსი

ზოგსა ჰგონია დანაშაული მარტო კანონზე გადაბიჯება: ძალმომრეობა, ნამუხის ახდა, ძარცვა, მკვლელობა, დასახიჩრება... არა! დაუსჯედი დანაშაულსაც ხშირად ვაწყდებით გარეთ თუ შიგნით. დანაშაულთა ცნება მეტია, ვიდრე აღნუსხავს კანონთა წიგნი. შუადამისას, შუა ქუჩაში, ხეპრე მანქანას რომ აგრიანებს, ხმის ჩახლჩამდე გაჭყვირის ლოთი, მიმღებს აუვირებს, თავად ღრიალებს; ბერიკაცი რომ ფეხზე დამდგარა და ზის უმაწვილი იქვე მღუმარი, სუფრაზე კაცმა რომ დაამთქნარა და „გადაყლაპა“ სამი სტუმარი; წესრიგს არღვევენ, ღირსეულს გმობენ, ხოლო უღირსი პატივს იფერებს, კითხვას ღვარძლით გიპასუხებენ, გესლით ბერავენ ზურის ქიმერებს; ხეპრე ხელს ავლებს უცნობ ქალიშვილს, გულგრილად დგანან ვანზე ლაჩრები, ბეჭედს ყიდიან ათი ათასად, მუშტარიც არის: „არ გვეჯერები!“ — აი, ეს ნუსხა დანაშაულთა! საქმე როდია ისე მარტივი. კანონთა კოდექსს — რიდი და კრძალვა, მორალურ კოდექსს — მეტი პატივი!

აბაკი გელოვანი

მელან დისერტაცია

(იგავი)

ერთმა მელამ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქათამი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემაში“. ოპონენტებად იყვნენ დათვი და სახედარი. დათვმა ხაზი გაუსვა მელას დიდ გამოცდილებას ხსენებული მიმართულებით კვლევაში, თუმცა აღნიშნა ის სუბიექტივიზმი, რომელსაც მელა იჩენდა „ამ შინაური ფრინველის მნიშვნელობის წინ წამოწევისას“.

სახედარმა კი, პირიქით, უარპყო პირველი ოპონენტის ეს შეხედულება და ნაშრომის მხოლოდ დადებით მხარეებზე გაამახვილა ყურადღება.

„გაუგებარია“, უთხრა დარბაზში მჯდომმა კურდღელმა თავის მეუღლეს, „დათვის უკაყოფილება მესმის, ალბათ, მოელის, რომ სადისერტაციო ნაღიმზე მხოლოდ წიწილები იქნება და სურს მიახვედროს მელა, რომ შემწვარი ძროხა უფრო არსებითია მისთვის. ეს სახედარი კი, აბა, რას იცავს მელას ასეთი თავგამოდებით, ბალახის მჭამელი ხორცის მჭამელს“.

„შე საბრალოვ“, უთხრა მეუღლემ, „ამ ხნის კაცი ხარ და ჯერაც ვერ გამორკვეულხარ ცხოვრებაში. მთელი ქვეყანა ხედავდა გუშინ, თუ როგორ აგროვებდა სახედარისათვის მელია ჩალას თავისი წვრილშვილითურთ. ვირის გულის მოგებაზე იოლი რაა, ან ჩალას რა გამოლევს ჩვენს ქალებში?“

ზვიად გამსახურდია



— ეს კალაში მარჩენს!
— მწარალი ბრძანდებით?
— თითქმის. როცა ფული შემოგაკლდება, გამარჯვს წერილს ვფერ სოფელში.

„კაი კაცის“ სადღეგრძელო

თუ ფულის შოვნა ეხერხება, ღმერთმა მისცეს! — არც ძმაკაცებს აკლებს პატივისცემას. თუ კაი ადგილიც იშოვა, ალალია მაგაზე! — ნათესავ-მეგობრებსაც გამოუძებნა ბედნიერი ადგილები; თუ ღმერთით ბინა აიშენა, ყველა თავისიანიც კარგად დააბინავა. ავტომანქანა განა მარტო თვითონ იყიდა? მე ვიცი, მაგან რამდენს ხელდახელ გამოაყვანინა მანქანა, რამდენ ნათესავ-მეგობარს მოუწყო შვილი უმაღლესში, მარტო იმათი ლოცვა-კურთხევა ეყოფა! დისერტაცია დაიცვა, მაგრამ თუ ვინმე წამოეხმარა, არავინ დაუტოვებია გულნაწყენი, ყველა აამენა, ჩემო ძმაო! პურ-მარლი და სმა-ჭამა ხომ მაგის მოგონილია. კაი კაცია, კაი მეოჯახე, კაი ნათესავი, კაი მსმელი, კაი მჭამელი, კაი...

რეკლიკა სუფრის ბოლოდან: კაი, კაი, გვეყოფა!

ბ. შაზინაშვილი

ნიანგის

დევიზთა სანაგეტო

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ლიტერატურა

სოფლის რაიონის ქვემო და შუა ქველონის მცხოვრებთ ოდითგანვე ერთმანეთთან გვაკავშირებდა ადამისდროინდელი ხიდი, რომელიც უამთავლად ისე გამოფიტა, ზედ გასვლა შეუძლებელი გახდა.

აბაშრები ჩამოსხდებიან ხოლმე მდინარის ნაპირებზე და ნაღვლიანად მღერაინ: „გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით თქვენ...“ როგორ მოვიქცეთ, რას გვიჩვენებ, პატივცემულო „ნიანგო“?

პასუხი: ან გაღმა შეედავით, ან გამოღმა!

აბაშის რაიონის სოფელ გულიეკარის მკვიდრთ გულის კარს გვისზობს ის სავალალო მდგომარეობა, რომ ჩვენი სოფლის ეკლესია, რომელიც ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, მოუვლელიობით დღითი დღე ნადგურდება. კულტურის ძეგლთა დაცვის მამები ეკლესიის გადარჩენისათვის ზომებს არ იღებენ. ვის ვთხოვთ შევლა?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში მიმართეთ ისევ მამაშეცვიერს!

მხსარბძელ მშრომლებს „საქტარის“ ხეტუის სავაქრო ბაზის მალაზიის გამყიდველმა სულელომ თევდორას სსულმა მათითანი-შვილმა 38 მანეთად ღირებულ ბალონებიან გაჭურაში 50 მანეთი გადაგვანდევინა. რა ჰქვია ნოქრის ასეთ მოქმედებას?

პასუხი: გაჭურაზე ხელის მოთბობა.

ჭესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საჯანოს მცხოვრებნი შეწუხებული ვართ იმის გამო, რომ ჩვენს თანასოფელებს მიხეილ გაბოს ძე სამანიშვილს და ავთანდილ გრიგოლის ძე წიქრიძეს შორის გაუთავებელი უსიამოვნება სუფევს. ეს ოჯახები სოფელს ჩნუბით და ზემდგომ ორგანოებს საჩივრებით მოსვენებას არ აძლევენ.


რა ვქნათ?

პასუხი: თხოვეთ „ქართული ფილმის“ დირექციას, სამანიშვილ-წიქრიძის შეხლა-შემოსლის სიუჟეტზე გადაიღონ „ჭირვეული მეზობლების“ ახალი ვარიანტი.

გაიოგ უავერუაშვილი, დეპუტების მიმღები, სააგენტოს ოპერდარწმუნებული.



— ჩემი საცულავა, ბებო!
— კაცი მოგყავს ცოლად, შვილო?!




— ეს ქალი მთელი დღე კოსმეტიკას უნდება და რატომ არ ხსნის ღირებულოვან?
— მაგას, გენაცვალე, ერთი ხელის მოსმით ვერ მოხსნის!...


ნახ. ჯ. ლოლუასი



«შთაბეჭდილებათა წიგნები»




— ხალხი არა ხართ, ან მიშველეთ, ან გაკატარეთ, თავს ვუშველო!



სტიუარდესა: დაფრენისას დამაპიწყდა გამომცხადებინა, რომ ქამრები მოეხსნათ!

პავლოვის ქუჩა № 34-ბ სახლში ახალი ბანის წყალგაყვანილობა ავარიულ მდგომარეობაშია.



— რას შვრები, ბიკნტი, ახალ ბინას არ ასვლებ?
— ამას დასველება აქლია?!

ტალანტები უთაყვანისმცემლებოდ არ არსებობენ. ეს ასეა. იმიტომ, რომ თუ თაყვანისმცემლები, ანუ შემფასებელ-დამფასებელნი არ არიან, ტალანტი შეუმჩნეველი რჩება.

იბადებიან ტალანტები და ჩნდებიან თაყვანისმცემლებიც.

შევიხედოთ ხელოვნების ერთ-ერთ რეზიდენციაში, სადაც ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა ნახელავები დამთვალეირებულთა სასჯავროზეა გამოტანილი.

აქ იწერება მატაიანეც. თაყვანისმცემლები თავიანთ შთაბეჭდილებებს წერილობით გამოთქვამენ, იფურცლებს სქელტანიანი, ჭერ დაუწერელი წიგნი და ნელ-ნელა ივსება სხვადასხვა ხელნაწერით.

ჭეშმარიტი თაყვანისმცემლის შესაფერი აღმაფრენით აღბეჭდავს მატაიანის ფურცლებზე ერთ-ერთი დამთვალეირებელი:

„პოეტის დარად ასე ვიტყვოდი: თვით ეს სიცოცხლე არ არსებობს უხელოვნებოდ...“

დიდი სიამოვნებით დავათვალიერე გამოფენა. მიყვარს ხელოვნება, როგორც ყველას, და მიხარია, რომ ასე ბევრი ნიჭიერი შემოქმედი გვყავს. აღტაცებული ვარ ჯიბი ფუნჯაძის ტილოებით. რაოდენი შთაგონება, ცხოვრებისეული აზრი და ფერთა ღაღადისია მასში! ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს ცნობილადის ქანდაკებები და ზვარელის გრაფიკა. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ მოიწონებ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა...

ი ა ი ა

მეორე: „გამოფენა მრავალფეროვანია, მაგრამ, მე ვიტყვოდი, არა მთლად კარგი ვაგებით. ზოგი ისეთი ექსპონატია, ვერ გაიგებ, რა მხატვარია და რა გამოხატა. აი, მაგალითად, ერთ-ერთი ქანდაკება... საკითხავია, რატომ გამოუბამს მოქანდაკეს ამ გოგონასათვის, არქეოლოგიური გათხრებიდან ამოღებულს რომ გავს, როიალის ფენები? ჩვენი მეცხოველეები მეტ პატივისცემას და დაფასებას იმსახურებენ.“

ინჟინერი ს. მოყვარული“.

მესამე: „დამაფიქრებელია მოქანდაკე საჭრეთ ლაშვილის „მთვლემარე ქალი“. იგი თითქოს მართლაც მოგვაგონებს მთვლემარე ქალს, მაგრამ კიდურები ხეიბარს მიუგავს (ბოდიში ავტორთან) და, რატომღაც, არც ცხვირ-პირი მოგვწონს. უცხვირპირობა, საერთოდ, არ არის დადებითი მოვლენა, მაგრამ ხელოვნებაში, ალბათ, პირიქითაა. ხელოვნება მინც ხელოვნებაა, ე. ი. ხელოვნურობაა.“

საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები“

მინაწერი: „არაფერი შეგეშალოთ!“

„ფოტოგრაფისტების დრო წავიდა, პატივცემულნი! ხელოვნებას გაგება უნდა. ლამაზი ფერები თუ გინდათ და ლამაზი ფერადი ფოტოები, ავერ აქვე კიოსკები და იქვე ლამაზმანები. მთავარი ნოვატორობაა, ახალი სიტყვა!“

მინაწერის მინაწერი: „ვაი შენს პატრონს!“

სტუდენტი მხატვარი“.

მეოთხე: „ვაშა, ჯიბო! გენი-ალური ხარ! შენმა ტილოებმა აკადემიკოსებს მოუხაზა. ყური არავის დაუგლო, თორემ გაგაგაყებენ, პროდოლჟაი ვ ტომ ჟე დუხე!“

შენი

თაყვანისმცემლები“.

მინაწერი: „ჯიბო ფუნჯაძე უეჭველად ნიჭიერია, მაგრამ გენი-ალურად არ მიმაჩნია. მან ჭერ კიდევ კარგად არ იცის არც ხატვა, არც წერა. აკლია პროფესიონალიზმი. ამაზე თუ გაჩერდა, მისგან არაფერი არ გამოვა.“

ბ. ჰურბაძე“.

მინაწერი: „ჭურბაძე კიდევ ჭურში ზიხარ, შეკრეტი ისო!“

მეხუთე: „დიდი ყურადღებით დავათვალიერეთ გამოფენა, რამაც ჩვენი უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით მოგვეწონა ქართული ნატურმორტი როდინითა და წიწაკით. რა ეფექტურადაა შეხამებული წითელი წიწაკა შავ როდინთან! ვუსურვებთ მხატვრებს შემდგომ წარმატებებს.“

აიდა გაიდაშვილი,
ოფელია ჟღარიანი,
III კურსის სტუდენტები“.

მეექვსე: „დავათვალიერეთ გამოფენა. დაგვებადა კითხვა: რა არის ნოვატორობა და ჩაითვლება თუ არა თხუზნაძის ტილო — „ჭადრაკის თამაში“ ნოვატორობად? უეჭველად ჩაითვლება. სურათზე გამონათქვამი დებილი ტიპები, რომლებმაც, საეჭვოა, ჭადრაკის თამაში იკოდნენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო, ავტორს ტილოსთვის დაერქმია „ბალნეოლოგიური აბანოს რიგში“.“

ზადრაკის
გულუმიანაძე“.

რა შთაბეჭდილება გრჩებათ ამ „შთაბეჭდილებათა წიგნზე“? ლეილა თაბუკაშვილი



— მთელი სოფელი იმითაა გაგვიჟოთ, რომ მეზობელ კოლმეურნეობასთან 13:0 წამებოთ ფეხგურთში? — რა შექნა, ორი მანქანა ხალხს ჩაიყვანა, მამრამ თერთმეტი კაცის მეთი არ გვატყავს.

ცოლისძმა

კატა კოტიკო — დამტყვევი არტელის — უეცრად გახდა ტრესტის მმართველი! „საიდან სადაო, წმიდა საბაო, სად ჩვენი ტრესტი და სად ჭრელი კატაო?“ უკუღმა წავიდა „თავტრესტის“ საქმე, ვერავინ ვერ ბედავს გულითად სათქმელს. დილიდან საღამომდე დაუღია პირი და ჩია კატუნა კაცივით ყვირის. ნერვებაშლილებს და ენა ჩავარდნილებს, ალბათ, აქვთ ვიღაცის შიში. მას ვერ აგონებენ, ზურგსუკან აგინებენ,


მუნჯები არიან პირში. „ვოლგით“ დაგრილებს, ფულებს ატრიალებს, აგარაკს იშენებს, როგორს! დიდკაცურად დადის, არ აწუხებს დარდი, სადღაც გაიჩინა გოგოც! ვაუკაცია თითქოს... ხალხი გულში ფიქრობს: როდემდე გაგრძელდება ასე? დიდცხრეთ გულლები, ვიდრე ეს ურემი არ გადაბრუნდება გზაზე! უღვაშები რომ გადაუგრებია, გუშინ გავიგე და გეტყვი: თურმე ის კატა, კულაბრებია, ცოლისძმა ყოფილა ვეფხვის!

პ. გომიასვილი

ნახ. პ. ზამბახიძისა



— რა მოუვიდა ილიკოს, სამი დღე და ღამე ხიდან რომ არ ჩამოდის? — გაუბია, ეს ადგილი ნგრევაშიაო და გინის მიღება უნდა.



პატივცემულო ნიანგო!

თემამის დასახლებიდან, ვიცით, ბევრი წერილი შემოდის, მაგრამ ეგებ ჩვენც დაგვითმოდ პატარა ადგილი.

შოკლედ მოგახსენებთ: ჩვენი კორპუსის წინ დგას ავარიული ტრაქტორი. კარგად მოგეხსენებათ, ტრაქტორის ზმა და ისიც ავარიულია, რა ზასიამოვნო მოსახმენი იქნება დილას ან საღამოს. ჩვენი ტრაქტორი კი სწორედ ამ ხანებში ათახთახდება ხოლმე. ეს კიდეც არაფერი! ეტყობა, საწვავი საიდანღაც გასდის, დგება საწვავის სუნი და ახვალტი მოლიბუდ გზას ემსგავსება. ეწოში კი ბავშვები გვყავს: ეცემიან და ისვრებიან. თითქოს ის არ გვეყოფა, რომ ჩვენი კორპუსების წინ ბლომად ყრია მშენებლობის შემდეგ ნარჩენი ბეტონის კედლების ნამტვრევები.

ერთი სიტყვით, იქნებ ან ტრაქტორი შეარემონტონ და ან ქუჩა გაგვისუფთაონ, თუ ორივეს გააკეთებენ, დიდი მადლობის მეტი რა გვეთქმის.

თემამის დასახლების III კვარტალის 45 და 42-ა კორპუსების მომინადრენი

ამაო ნიანგო!

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მოსახლეობა დიდი ზარ-ზეიმიტ შეტეხდა ცისფერი ეკრანის აციმციმებას. მსოფლიოს ყველა კუთხე ფინახულეთ ამ დალოცვილი ტელევიზორის წყალობით.

ნათქვამია: „მიუჩვეველს ნუ მიაჩვენებ, მიჩვეულს ნუ მოაკლებო“, ჩვენ კი სწორედ რომ მიგვაჩვიეს და ახლა უკვე რამდენიმე თვეა, შევეურებთ დადუმებულ და ჩამქრალ ეკრანს.

გააპრცინებელი

ქვირფასო ნიანგო!

ჩაბის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. მე კი არა, მთელი ქვეყანა ახლა ჩაბის სარგებლიანობაზე ლაპარაკობს და მართალიცაა. რა ჯობია ქაფქაფა სურნელოვან ჩაბს; ენერჯიას გიორკეცებს. სიცოცხლეს გიხანგრძლივებს, ტონუსს გიმადლებს, გუნება-განწყობას გიხალისებს და მრავალ სხვა სიკეთეს გაძლევს. ეს ყველაფერი ვიცო, მიყვარს კიდეც ჩაბი, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებ ხშირად მის დაღევას. რატომ? მიზეზი სულ პატარა რამ არის: გამიტყდა ჩაბიდან, ერთი პატარა ფაიფურის ჩაბიანი, გამიტყდა და, მას შემდეგ, ვერსად მიშოვნია მისი შემცველი.

ჩვენო ნიანგო, იქნებ, ჩაბის სახლის წინაშე გვიშუამდგომლო და მან კი თავის მხრივ კიდეც იშუამდგომლოს სათანადო ორგანიზაციებში, იქნებ მაღაზიებში გამოიტანონ ჩაბინები (ეს სურვილი მართლმე მე კი არა, სხვა მრავალ ჩაბისმოყვარულს ექნება); თუ არა და, იქნება გვასწავლონ უჩაბინოდ ჩაბის დაყენების წესი!

გ. შირაზადიშვილი

საბჭოთა კავშირის
წევრი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ღვინჯიანი

სარედაქციო კოლეგია:
ზ. გოლჭავაძე (პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. გალაგონია,
ბ. ნიუნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ზვილიძე.

სატირისა და იუმორის
შურნალი „ნიანგო“.

თბილისი, რუსთაველის
ბროსაქში № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нiangи».
ბედ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
24/IX-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-71 წ.
ბალალდის ზომა
70x108¹/₈.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 1,4.
საბ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ
ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 3374.
ში № 02177.
ბირაჟი 128.500.



— რა გიხარია, მამაჩემო, ჩავიჭარი!
 — ზოგი ზირი მარგაბელია, უვილო! უნა რომ მოყურობილყავი,
 სტვალში ვერ გნახავდი!

სოფლები
მეზობლები